

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ფინანსური

ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)



შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“

ფინანსური და მმართველობი ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	4
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	12
1. ზოგადი ინფორმაცია	13
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	13
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები	23
4. ამონაგები	24
5. მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	24
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	24
6. სხვა ხარჯები	25
სხვა ხარჯები 2018 და 2017 წლების წარმოდგენილია შემდეგნაირად:	25
7. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი) 2018 და 2017 წლებში	26
8. ფინანსური ხარჯი.....	26
9. ძირითადი საშუალებები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:	27
10. არამატერიალური აქტივები	29
11. მარაგები	30
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	30
13. საგადასახადო აქტივი	31
14. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	31
15. მიღებული სესხები მიღებული	32
სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:	32
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	33

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ფინანსური

ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

17.	ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:	34
18.	რეალური ღირებულების შეფასება	37
19.	დაკავშირებული მხარეები	38
20.	პირობითი ვალდებულებები	39
21.	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	39

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ფინანსური

ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გამიჯნულ იქნას ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ - ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ ივარაუდება, რომ კომპანია გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის, ქმედებებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ფინანსური

ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

საანგარიშგებო პერიოდი რომელიც დასრულებულ იქნა 2018 წლის 31 დეკემბერს, დამტკიცებულ იქნა მენეჯმენტის მიერ 2019 წლის 28 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

გიორგი ლოლაძე

დირექტორი

თბილისი,

საქართველო

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ფინანსური

ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრის

(ქართულ ლარში)

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“-ს პარტნიორებს და მენეჯმენტს

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“-ს - ს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობებით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ფინანსური

ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონტროლი გარემოების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ .

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავთ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობებთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს ავღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ფინანსური

ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია

ხელმძღვანელებისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისაგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობით ანგარიშგებაზე საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად. კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვით მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობითი ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია დიმიტრი ზარიძე.

აუდიტორი დიმიტრი

ზარიძე SARAS-A-

257221 შპს „ცერცვაძე

და კომპანია“

30 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ფინანსური

ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	4	12,745,783	11,304,624
სხვა შემოსავალი		120,159	38,475
მარაგების ცვლილება			(36,119)
მარაგების შესყიდვის ხარჯი		(1,654,367)	(1,743,346)
პერსონალის ხარჯები		(7,182,177)	(6,263,230)
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	5	(196,133)	(279,579)
ცვეთა და ამორტიზაცია	9 10	(1,442,606)	(532,498)
სხვა ხარჯები	6	(1,126,097)	(1,024,138)
საოპერაციო მოგება		1,264,562	1,464,189
კურსთაშორის			
სხვაობიდან მიღებული ზარალი	7	(38,123)	24,139
ფინანსური ხარჯი	8	(331,996)	(328,897)
მოგება დაბეგვრამდე		894,443	1,159,431
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		894,443	1,159,431

ვალინა გელოვანი

გიორგი ლოლაძე

30 სექტემბერი, 2019 თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ფინანსური

ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

შენიშვნა		31.12.2018	31.12.2017
აქტივები	გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	9	11,549,455	6,882,638
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად		767,036	869,621
გადახდილი ავანსები			
არამატერიალური აქტივები	10	84,026	85,355
სულ გრძელვადიანი აქტივები		12,400,517	7,837,614
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	332,987	217,845
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	2,924,499	2,297,640
მიმდინარე საგადასახადო აქტივი	13	31,904	45,325
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	1,267,687	496,640
გაცემული სესხი		160,000	
სულ მიმდინარე აქტივები		4,717,077	3,057,450
სულ აქტივები		17,117,594	10,895,064
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		1,618,914	109,049
სხვა რეზერვები	15	262,369	262,369
გაუნაწილებელი მოგება		7,207,066	6,312,623
სულ საკუთარი კაპიტალი		9,088,349	6,684,041
გრძელვადიანი ვალდებულებები მიღებული			
სესხები	15	7,200,534	1,728,717
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7,200,534	1,728,717
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15		2,202,232
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	828,711	280,074
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		828,711	2,482,306
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		17,117,594	10,895,064

ვალინა გელოვანი

გიორგი ლოლაძე

30 სექტემბერი, 2019 თბილისი, საქართველო

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ფინანსური

ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	109,049	5,153,192	262,369	5,524,610
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,159,431	-	1,159,431
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	109,049	6,312,623	262,369	6,684,041
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		894,443	-	894,443
კაპიტალის გაზრდა	1,509,865			1,509,865
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	1,618,914	7,207,066	262,369	9,088,349

ვალინა გელოვანი

გიორგი ლოლაძე

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ფინანსური

ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	შენიშვნა	2018
ფულის მიღება მომხმარებლებისგან		12872848
ფული გადახდილი მომწოდებლებისათვის		-3294396.14
ფული გადახდილი თანამშრომლებისათვის		-5745516.8
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		3,832,935
გადახდილი პროცენტი		-1,000,854
გადახდილი სხვა გადასახადები		-1,471,436
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების წმინდა ნაკადი		1,360,645
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		-6,356,219
ინვესტიცია ერთობლივ საწარმოებში		
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		
გაცემული სესხები		-160,000
გაცემული სესხების დაბრუნება		
წმინდა ნაღდი ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		-6,516,219
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები		8,839,270
მიღებული სესხების დაფარვა		-2,905,889
გადახდილი დივიდენდები		
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული/მიღებული საფინანსო საქმიანობიდან		5,933,380
წმინდა ნაღდი ფულის ან მისი ექვივალენტის გაზრდა/(შემცირება)		777,807
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი	7	-6,759
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტი წლის დასაწყისში		496,639
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტი წლის ბოლოს		1,267,687

ვალინა გელოვანი

გიორგი ლოლაძე

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ფინანსური

ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2009 წელს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ლისის ტბა #4.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ფარმაქსი“. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირები ზემოაღნიშნული თარიღებისთვის არიან:

- გიორგი ლოლაძე - 30%
- მარინე ხატელიშვილი - 20%
- ელენე ხვედელიძე - 30%
- ზურაბ დაბრუნდაშვილი - 5%
- დავით ღვინიაშვილი - 5%
- დავით ბახტურიძე - 5%
- ლევან კალმახელიძე - 5% კომპანიის აღმასრულებელი დირექტორია გიორგი ლოლაძე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების და შეფასების საფუძვლები მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ფასს-ის სრულად შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას.

ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის, რომელიც წარმოადგენს 2016 წლის 1 იანვარს, და ასევე 2016 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის მიერ მოზადებული ფინანსური ანგარიშგება არ განსხვავდებოდა ფასს-ის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებისგან.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და

ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.2 ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2018 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები: არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ შესწორება შესწორების თანახმად, კომპანიას მოეთხოვება ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილ ვალდებულებებთან დაკავშირებით ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში წარადგინოს წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები, რომელიც მოიცავს როგორც მონეტარულ, ასევე არამონეტარულ ცვლილებებს. კომპანიამ მიმდინარე პერიოდისთვის მოამზადა ზემოაღნიშნული ინფორმაცია (შენიშვნა 16).

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის

ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები. კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუქციების კლასიფიკაციას და გაზომვას.

ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში.

ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარების სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომლებიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას ორგანიზაციის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 ორგანიზაციის სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩაანაცვლა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები ორგანიზაციის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. ორგანიზაცია აფასებს მომავალში ფასს 9-ის გამოყენების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 - იჯარა - ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განსაზღვრა შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს.

სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს არსებულ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას

ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას.

ამჟამად, კომპანია აფასებს ზემოაღნიშნული სტანდარტების გამოყენების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში შეფასების და წარსადგენის ვალუტა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის ოპერაციებზე.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2018	31.12.2017
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ლარი/1 ევრო	3.0701	3.1044

2.4 ფინანსური ინსტრუმენტები კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან თავდაპირველი აღიარებისას, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას.

ფინანსური აქტივები კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს შემდეგ კატეგორიებად შეძენილი აქტივის ხასიათისა და მიზნობრიობიდან გამომდინარე:

- სესხები და მოთხოვნები
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

- რეალური ღირებულებით აღრიცხული, მოგებაში ან ზარალში ასახვით
- გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

აღნიშნული აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. გაუფასურების რეზერვი ითვლება რისკის შემცველი აქტივების ჯგუფური და ინდივიდუალური ანალიზის საფუძველზე. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკმანასიათებლების მიხედვით. ფინანსური აქტივების ჯგუფისთვის მომავალი ფულადი ნაკადები ფასდება წარსული გამოცდილების საფუძველზე, ამასთანავე გაითვალისწინება ის მიმდინარე ფაქტორები, რომელსაც ადგილი არ ქონია წარსულში, და გამოირიცხება ის ფაქტორები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წარსულში და მიმდინარე პერიოდში აღარ აქვს.

მოთხოვნებისა და გაცემული სესხების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნებისა და გაცემული სესხების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან. კომპანიის პოლიტიკა თითოეული სახეობის ფინანსურ ვალდებულებაზე შემდეგია:

(ა) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:

(i) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული;

(ii) თავდაპირველი აღიარებისას კომპანიის მიერ, იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით. (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა, სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხით წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

2.5 ამონაგები სამედიცინო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა. სამედიცინო შემოსავლები წარდგენილია კორექტირებების, ფასდაკლებების გათვალისწინებით.

კომპანიის სამედიცინო შემოსავლები მოიცავს სადაზღვევო კომპანიებიდან, სახელმწიფოდან, სხვა დამფინანსებლებიდან და ფიზიკური პირებიდან მიღებულ შემოსავლებს.

სადაზღვევო კომპანიები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებიდან, რომლებიც დაზღვეულები არიან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე.

სახელმწიფო - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებიდან, რომლებიც დაზღვეულები არიან სახელმწიფო პროგრამით. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სახელმწიფოსთან შეთანხმებული პირობების საფუძველზე.

სხვა დამფინანსებლები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებიდან, რომელთა მიმართ ჩასატარებელი მომსახურების ნაწილობრივი ან სრული დაფინანსება ხდება სხვა დამფინანსებლებისგან, გარდა საყოველთაო დაზღვევისა და სადაზღვევო კომპანიებისა. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და კომპანიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე. ფიზიკური პირები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს დაუზღვეველი ფიზიკური პირებიდან, სამედიცინო მომსახურების დასრულების და კომპანიის

მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე. შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათებით.

2.6 საპროცენტო ხარჯი საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2.7 სხვა შემოსავლები და ხარჯები სამედიცინო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

2.8 საოპერაციო იჯარა კომპანია როგორც მეიჯარე - საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

2.9 ხელფასები და ბონუსები ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2.10 გადასახადები მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე საგადასახადო დავალიანებასა და გადავადებულ მოგების გადასახადს.

მიმდინარე მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ეყრდნობა წლის დასაბეგრ მოგებას, რომელიც იანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაცხადებული მოგებისგან, იმ შემოსავლის ან ხარჯების მუხლების გამო, რომლებიც დასაბეგრი ან გამოსაქვითია სხვა წლებში და აგრეთვე იმ მუხლების გამო, რომლებიც არ იბეგრება ან იქვითება. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც

დასრულდა 2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

შესადარისი პერიოდისთვის რომელზეც მოგების გადასახადის ახალი რეგულაცია არ ვრცელდება გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და დასაბეგრი მოგების გასაანგარიშებლად გამოყენებულ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის დროებითი სხვაობების საფუძველზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების აღიარება, როგორც წესი, ხდება ყველა დასაბეგრი დროებითი სხვაობის შემთხვევაში. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება, ყველა გამოსაქვითი დროებითი სხვაობის შემთხვევაში იმ მოცულობით, რამდენადაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც გაიქვითება ეს გამოსაქვითი დროებითი სხვაობები.

გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულება გადაისინჯება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და შემცირდება, თუ მოსალოდნელი აღარ არის საკმარისი დასაბეგრი მოგების მიღება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ აღდგენა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ იმოქმედებს ვალდებულების გასტუმრების ან აქტივის რეალიზაციის პერიოდში, იმ საგადასახადო განაკვეთების (და საგადასახადო კანონების) საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული მოგების გადასახადის მიმდინარე ეფექტის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება ისეთ მუხლებს, რომლებიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში გადავადებული გადასახადის აღიარებაც ხდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, შესაბამისად.

2.11 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. 2.12 ძირითადი საშუალებები ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით.

თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება

ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. კომპანის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:	
ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	50
სამედიცინო და სხვა მანქანა-დანადგარები	5-20
სამედიცინო ინვენტარი	5-15
ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	5-15
მიწა	არ ერიცხება ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. 2.13 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგარამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 2.14 მარაგები კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. კომპანია მარაგები ძირითადად მოიცავს მედიკამენტებს და სამედიცინო სახარჯ მასალებს. კომპანიაში მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

2.15 საწესდებო კაპიტალი კომპანიაში საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

2.16 ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ

ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.17 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში. ბ) მოთხოვნების გაუფასურება კომპანია რეგულარულად აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში მენეჯმენტი აფასებს მოთხოვნების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური მოთხოვნის მომავალ ფულად ნაკადებს. მენეჯმენტი წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია მენეჯმენტის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ფინანსური

ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. ამონაგები

ამონაგები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
თვითდინებით მოსული პაციენტები	6,013,690	6,173,321
ჯანდაცვის სამინისტრო და სხვა დამფინანსებლები	6,732,093	3,565,909
სადაზღვეო კომპანიები		419,464
სხვა დამფინანსებლები		1,145,930
სულ	12,745,783	11,304,624

5. მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი

მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ფინანსური

ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	2018	2017
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	(196,133)	(279,579)
სულ	(196,133)	(279,579)

6. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2018 და 2017 წლების წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	
2018		
პროფესიული მომსახურების ხარჯები	(127,100)	(187,553)
სამეურნეო ხარჯები	(113,996)	(147,674)
სალაროს დანაკლისი		(168,000)
კომუნალური გადასახადები	(157,208)	(139,109)
კვება	(120,202)	(118,545)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(26,544)	(62,045)
მივლინება	(128,224)	(59,195)
საგადასახადო ხარჯი	(16,427)	(27,923)
სარეკლამო ხარჯი	(40,862)	(25,692)
კომუნიკაციის ხარჯი	(38,864)	(24,356)
მიმდინარე რემონტი	(33,030)	(4,676)

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ფინანსური

ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალების ჩამოწერა		(2,082)
1000ლარამდე ინსტრუმენტები	(88,049)	
საქველმოქმედო	(7,000)	
საკონსულტაციო ხარჯი	(64,739)	
საკანცელარიო	(25,936)	
სხვა	(137,916)	(57,288)
სულ	(1,126,097)	(1,024,138)

-

7. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი) 2018 და 2017 წლებში

	2018	2017
ფული და ფულის ეკვივალენტები	(6,759)	(8,829)
სხვა ფინანსური ინსტრუმენტები	(31,364)	32,968
სულ	(38,123)	24,139

-

8. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული შემდეგნაირად:

	2018	2017
შპს ფარმაქსი		(301,963)
სს თიბისი ლიზინგი	(25,099)	(19,695)
სს საქართველოს ბანკი	(28,308)	(7,239)

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ფინანსური

ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

სს ვითიბი ბანკი	(278,589)	
სულ	(331,996)	(328,897)

-

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

9. ძირითადი საშუალებები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	შენობები	სამედიცინო და სხვა მანქანა-	სამედიცინო ინვენტარი	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა დანადგარები	სულ
2017 წლის 1 იანვარი	309,414	1,995,887	1,658,509	44,190	562,125	4,570,125
შემოსვლა		- 536,735	2,169,126	50,019	77,583	2,833,463
2017 წლის 31 დეკემბერი	309,414	2,532,622	3,827,635	94,209	639,708	7,403,588
შემოსვლა		- 98,201	6,838,882	107,062	190,769	7,234,914
2018 წლის 31 დეკემბერი	309,414	2,630,823	10,666,517	201,271	830,477	14,638,502

დაგროვილი ცვეთა

2017 წლის 1 იანვარი

-	(203,110)	(689,347)	(24,525)	(215,359)	(1,132,341)
---	-----------	-----------	----------	-----------	-------------

-	(51,898)	(369,356)	(11,790)	(87,906)	(520,950)
---	----------	-----------	----------	----------	-----------

ცვეთის ხარჯი

2017 წლის 31 დეკემბერი

-	(255,008)	(1,058,703)	(36,315)	(303,265)	(1,653,291)
---	-----------	-------------	----------	-----------	-------------

ცვეთის ხარჯი

-	(58,978)	(1,260,031)	(19,950)	(96,797)	(1,435,756)
---	----------	-------------	----------	----------	-------------

2018 წლის 31 დეკემბერი

-	(313,986)	(2,318,734)	(56,265)	(400,062)	(3,089,047)
---	-----------	-------------	----------	-----------	-------------

წმინდა საბალანსო ღირებულება

2017 წლის 1 იანვარი

309,414	1,792,777	969,162	19,665	346,766	3,437,784
---------	-----------	---------	--------	---------	-----------

2017 წლის 31 დეკემბერი	309,414	2,277,614	2,768,932	57,894	336,443	5,750,297
2018 წლის 31 დეკემბერი	309,414	2,316,837	8,347,783	145,006	430,415	11,549,455

გვერდი 21 - 34

10. არამატერიალური აქტივები არამატერიალური აქტივები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	პროგრამები	სხვა	სულ
2017 წლის 1 იანვარი	113,448	8,018	121,466
შემოსვლა	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	113,448	8,018	121,466
ჩამოწერა	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	113,448	8,018	121,466
დაგროვილი ამორტიზაცია			
		-	
2017 წლის 1 იანვარი	(24,563)		(24,563)
ამორტიზაციის ხარჯი	(6,027)	-	(6,027)
2017 წლის 31 დეკემბერი	(30,590)	-	(30,590)
ამორტიზაციის ხარჯი	(6,850)	-	(6,850)
2018 წლის 31 დეკემბერი	(37,440)	-	(37,440)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2017 წლის 1 იანვარი	88,885	8,018	96,903
2017 წლის 31 დეკემბერი	82,858	8,018	90,876
2018 წლის 31 დეკემბერი	76,008	8,018	84,026

კომპანიის პროგრამები მოიცავს საოპერაციო ბილინგის პროგრამას, ERP სისტემას, რომელსაც კომპანია იყენებს ბუღალტრული აღრიცხვისთვის, მარაგების საწყობის პროგრამას და სამედიცინო დანადგარების საოპერაციო სისტემებს.

11. მარაგები მარაგები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
მედიკამენტები	40,790	40,790
	162,207	
სულ	202,997	217,845
მასალები		177,055

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 და 2017 წლების მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	2,708,993	2,327,716
სხვა მოთხოვნები		256,049
სულ გაუფასურებამდე	2,708,993	2,583,765
მინუს: გაუფასურების რეზერვი	304,026	(347,902)
წმინდა ფინანსური აქტივები	3,013,019	2,235,863

არაფინანსური აქტივები
გადახდილი ავანსები

147,768

მოთხოვნები თანამშრომელთა მიმართ		2,529
სულ გაუფასურებამდე	-	150,297
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(88,520)	(88,520)
წმინდა არაფინანსური აქტივები		
	(88,520)	61,777
სულ	2,924,499	2,297,640

-

გაუფასურების რეზერვის ცვლილება:

	2018	2017
1 იანვარი	304,026	(239,426)
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	(88,520)	(196,996)
31 დეკემბერი	215,506	(436,422)

-

13. საგადასახადო აქტივი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე - 31903,54 და 45,325, ლარის ოდენობით, როგორც საგადასახადო აქტივი.

14. ფული და ფულის ეკვივალენტები ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში		
	334,610	373,657
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	918,720	114,191
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	14,357	8,792
სულ	1,267,687	496,640

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. დამატებითი ინფორმაცია ფულის და ფულის ეკვივალენტების შესახებ იხილეთ მე-18 შენიშვნაში.

15. მიღებული სესხები მიღებული სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია

შემდეგნაირად:

	საპროცენტო ვალუტა მიღების თარიღი განაკვეთი	თარიღი	დაფარვის
შპს ფარმაქსი*	18%	ლარი	1.06.2010
სს საქართველოს ბანკი	8%	დოლარი	16.11.2017

სს თიბისი ლიზინგი		დოლარი	11.04.2017	1.06.2020
სს ვითიბი ბანკი	6.5%	დოლარი	25.07.2018	25.06.2025
სს ვითიბი ბანკი	6.5%	დოლარი	05.07.2018	05.06.2025
სულ				

მიმდინარე		გრძელვადიანი	
პროცენტი	ძირი	პროცენტი	ძირი
1,283,684	669,890	-	-
-	113,828	-	1,519,259
-	134,830	-	209,458
	1,295,000		
	2,350,000		
1,283,684	4,563,548	-	1,728,717

2015 წლის 30 დეკემბრის პარტნიორთა კრების ოქმის საფუძველზე შპს "ფარმაქსის" სესხის დაფარვის ვადა 2020 წლის 31 მაისის ნაცვლად განისაზღვრა 2018 წლის 28 თებერვლით. ამავე ოქმის საფუძველზე შეიცვალა სესხის დაფარვის ანუიტეტური გრაფიკი. ცვლილების თანახმად სესხის ძირის და პროცენტის დავალიანების დაფარვა მოხდება სესხის ვადის ამოწურვისას. კომპანიამ სესხის საწყისი აღიარება განახორციელა რეალური ღირებულებით. სესხის დისკონტირება განხორციელდა ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთით. სესხის რეალური ღირებულებით აღიარებისას წარმოქმნილი ცვლილება კომპანიამ აღიარა სხვა რეზერვებში, როგორც დამფუძნებლისგან მიღებული სარგებელი.

სს "საქართველოს ბანკთან" გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების გირავნობის საგანს წარმოადგენს დედა კომპანიის შპს "ფარმაქსის" საკუთრებაში არსებული და მომავალში შესაძენი მოძრავი ქონება, ასევე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. სს "საქართველოს ბანკის" საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში აღებული სესხი უზრუნველყოფით ასევე დატვირთულია ამავე კრედიტით შეძენილი მოძრავი ქონებით. მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	794,503	193,083
გადასახდელი ხელფასები		-
სხვა ვალდებულებები		33,580
სულ ფინანსური ვალდებულებები	794,503	226,663
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	34,208	53,411
სულ არაფინანსური ვალდებულებები	34,208	53,411
სულ	828,711	280,074

დაკავშირებული მხარეები

31.12.2018

დედა კომპანია	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი	

1,455,800 მიღებული სესხები

1,455,800

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტი რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და დაიცვას ოპტიმალური ბალანსი მოზიდულ და საკუთარ კაპიტალს შორის. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებად კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2018

31.12.2017

ფინანსური აქტივები ფული და ფულის ეკვივალენტები	1,267,687	496,640
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,013,019	2,235,863
სულ ფინანსური აქტივები	4,280,706	2,732,503

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის მენეჯმენტი ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

. ფინანსური ინსტრუმენტები რისკების მართვა (გაგრძელება) სავალუტო რისკი სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად: ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის მენეჯენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

საპროცენტო რისკი საპროცენტო რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული ან გაცემული სესხები.

საკრედიტო რისკი საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების

ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის ქმნის გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს მომავალი ზარალის საუკეთესო შეფასებას. მთლიანი ანარიცხების ძირითადი ნაწილი მოდის საერთო რეზერვებზე, რომელსაც კომპანია ქმნის ვადაგადაცილების ანალიზის მიხედვით. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი დებიტორებისთვის კომპანია ქმნის სპეციფიკურ რეზერვს.

კომპანია ახორციელებს ფინანსური აქტივების დარეზერვებას ბასს 39-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ მოთხოვნების შესაბამისად. კომპანია რისკების მართვის პოლიტიკის მიხედვით საკრედიტო რისკის მართვის მიზნებისთვის ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- „ვადადაუმდგარი და გაუფასურების გარეშე“
- „ვადადამდგარი, მაგრამ გაუფასურების გარეშე“
- „ვადაგადაცილებული და გაუფასურებული“ პირველი კატეგორია მოიცავს აქტივებს, რომელიც არ არის ვადაგადაცილებული და არ ექვემდებარება გაუფასურებას.

მეორე კატეგორიაში ერთიანდება აქტივები, რომელიც არის ვადაგადაცილებული, თუმცა ობიექტური მტკიცებულება მათ გაუფასურებასთან დაკავშირებით არ გამოვლენილა.

მესამე კატეგორია მოიცავს აქტივებს, რომელთა გაუფასურებაზე შემოწმება ხდება როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ საფუძველზე და იქმნება შესაბამისი რეზერვი.

კომპანია საკრედიტო რისკების ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ლიკვიდურობის რისკი ლიკვიდურობის რისკი არის რისკი როდესაც კომპანია დგას ფინანსური სირთულეებს წინაშე ვალდებულებების დაფარვისას და მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც განსხვავებულია აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

18. რეალური ღირებულების შეფასება რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად

საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის; დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზარზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე; დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიცა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებები საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია არ ფლობს ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომელთა დაკავშირებითაც ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს რეალური ღირებულებით წარდგენას ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და მიღებული სესხები, მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით.

რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. ბანკებისგან მიღებული სესხები დადისკონტირებულია კომპანიის საკუთარი საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც მიღებული აქვს ისინი.

19. დაკავშირებული მხარეები დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

31.12.2018

	დედა კომპანია	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
მიღებული სესხები	1509865	1509865

2018 წლის 28 თებერვალს პარტნიორთა კრების ოქმის საფუძველზე გაიზარდა კომპანიის საწესდებო კაპიტალი, რომელიც შეივსო შპს "ფარმაქსის" მიერ გაცემული სესხის საფუძველზე, რომლის ძირი თანხის და საპროცენტო დავალიანების ოდენობა სესხის დაფარვის თარიღისათვის შეადგენდა 426,859 და 1,083,006 ლარს, შესაბამისად.

20. პირობითი ვალდებულებები სასამართლო დავები - 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან

შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას.

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ფინანსური
ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“-ს პარტნიორებს და
მენეჯმენტს

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“-ს - ს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობებით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გააღებენ მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ფინანსური

ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონტროლი გარემოების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ყურდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავთ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს ავღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ფინანსური

ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია

ხელმძღვანელებისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისაგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობით ანგარიშგებაზე საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად. კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობითი ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია დიმიტრი ზარიძე.

აუდიტორი დიმიტრი

ზარიძე SARAS-A-

257221 შპს „ცერცვაძე

და კომპანია“

30 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო



შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	4	12,745,783	11,304,624
სხვა შემოსავალი		120,159	38,475
მარაგების ცვლილება			(36,119)
მარაგების შესყიდვის ხარჯი		(1,654,367)	(1,743,346)
პერსონალის ხარჯები		(7,182,177)	(6,263,230)
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	5	(196,133)	(279,579)
ცვეთა და ამორტიზაცია	9 10	(1,442,606)	(532,498)
სხვა ხარჯები	6	(1,126,097)	(1,024,138)
საოპერაციო მოგება		1,264,562	1,464,189
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	7	(38,123)	24,139
ფინანსური ხარჯი	8	(331,996)	(328,897)
მოგება დაბეგვრამდე		894,443	1,159,431
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		894,443	1,159,431

ვალინა გელოვანა

გიორგი ლოლაძე

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	11,549,455	6,882,638
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები		767,036	869,621
არამატერიალური აქტივები	10	84,026	85,355
სულ გრძელვადიანი აქტივები		12,400,517	7,837,614
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	332,987	217,845
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	2,924,499	2,297,640
მიმდინარე საგადასახადო აქტივი	13	31,904	45,325
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	1,267,687	496,640
გაცემული სესხი		160,000	
სულ მიმდინარე აქტივები		4,717,077	3,057,450
სულ აქტივები		17,117,594	10,895,064
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		1,618,914	109,049
სხვა რეზერვები	15	262,369	262,369
გაუნაწილებელი მოგება		7,207,066	6,312,623
სულ საკუთარი კაპიტალი		9,088,349	6,684,041
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	7,200,534	1,728,717
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7,200,534	1,728,717
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15		2,202,232
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	828,711	280,074
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		828,711	2,482,306
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		17,117,594	10,895,064

ვალინა გელოვანი

გიორგი ლოლაძე

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	109,049	5,153,192	262,369	5,524,610
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,159,431	-	1,159,431
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	109,049	6,312,623	262,369	6,684,041
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		894,443	-	894,443
კაპიტალის გაზრდა	1,509,865			1,509,865
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	1,618,914	7,207,066	262,369	9,088,349

ვალინა გელოვანი

გიორგი ლოლაძე

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	შენიშვნა	2018
ფულის მიღება მომხმარებლებისგან		12872848
ფული გადახდილი მომწოდებლებისათვის		-3294396.14
ფული გადახდილი თანამშრომლებისათვის		-5745516.8
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		3,832,935
გადახდილი პროცენტი		-1,000,854
გადახდილი სხვა გადასახადები		-1,471,436
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების წმინდა ნაკადი		1,360,645
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		-6,356,219
ინვესტიცია ერთობლივ საწარმოებში		
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		
გაცემული სესხები		-160,000
გაცემული სესხების დაბრუნება		
წმინდა ნაღდი ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		-6,516,219
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები		8,839,270
მიღებული სესხების დაფარვა		-2,905,889
გადახდილი დივიდენდები		
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული/მიღებული საფინანსო საქმიანობიდან		5,933,380
წმინდა ნაღდი ფულის ან მისი ექვივალენტის გაზრდა/(შემცირება)		777,807
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი	7	-6,759
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტი წლის დასაწყისში		496,639
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტი წლის ბოლოს		1,267,687

ვალინა გელოვანი

გიორგი ლოლაძე

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

მმართველობითი ანგარიშგება
შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“
ქ.თბილისი 2018

სარჩევი

საქმიანობის მიმოხილვა

ისტორია და ჯგუფის სტრუქტურა

განვითარების გეგმები

რისკები და შესაძლებლობები

საქმიანობის მიმოხილვა

შესავალი

შპს “ონკოლოგიის სამედიცინო ცენტრი” ბრენდული დასახელებით - „მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი“ არის თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული, უახლესი აღჭურვილობითა და მაღალკვალიფიცირებული პერსონალით დაკომპლექტებული სამედიცინო დაწესებულება, რომელიც ორიენტირებულია პაციენტებისთვის მაღალი ხარისხის სერვისის მიწოდებაზე.

"მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი" თავისი აღჭურვილობით და საუკეთესოდ მომზადებული პერსონალით ზრუნავს პაციენტების ჯანმრთელობაზე. ჩვენს კლინიკაში შესაძლებელია ისეთი სერვისების მიღება, როგორიცაა დიაგნოსტიკური კვლევები, ქირურგიული და პოსტოპერაციული მომსახურება. ცენტრში ფუნქციონირებს თავისა და კისრის სიმსივნეების, მამოლოგიური, გინეკოლოგიური, აბდომინური ქირურგიის, თორაკალური ქირურგიის, ქიმიოთერაპიისა და უჯრედული თერაპიის განყოფილება. "მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრში" ასევე ფუნქციონირებს სადიაგნოსტიკო განყოფილება, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით და შესაძლებელია პრაქტიკულად ყველა სახის დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარება. ბოლო თაობის აპარატურით მოწყობილ საოპერაციო ბლოკებში პაციენტის ჯანმრთელობაზე ზრუნავენ ქვეყნის საუკეთესო ქირურგები. ოპერაციის შემდგომი მომსახურება კიდევ უფრო გამოარჩევს კლინიკას, სადაც კეთილგანწყობილი და კარგად მომზადებული მედპერსონალი მუდმივად ზრუნავს პაციენტების სწრაფ გამოჯანმრთელებაზე. „მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრში“, ასევე, წარმატებით ფუნქციონირებს გენომის კვლევის და დიაგნოსტიკის ცენტრი. აღნიშნული კვლევები ფართოდ გამოიყენება მთელს მსოფლიოში, რადგან მისი საშუალებით დგინდება გენეტიკური მუტაციები, ადამიანის წინასწარგანწყობა სხვადასხვა სახის ავთვისებიანი სიმსივნეების მიმართ. წერტილოვანი მუტაციები და ქრომოსომული დარღვევები ზუსტად ადგენენ სიმსივნის ბუნებას, იძლევიან დაავადების წარმოშობის და მიმდინარეობის პროგნოზს და უზრუნველყოფენ მაქსიმალურად ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას მკურნალობის პროცესში. ეს ზოგავს პაციენტის რესურსებს და ზრდის წარმატებული მკურნალობის ალბათობას.

რატომ ჩვენ?

- ☐ ჩვენთან მუშაობენ ქვეყნის წამყვანი სპეციალისტები^[1]
- ☐ ჩვენ გამოუდმებით ვზრუნავთ განვითარებაზე^[1]
- ☐ სისტემატიურად ვაახლებთ მეთოდებს უკეთესობისკენ^[1]
- ☐ გვაქვს მაღალი ხარისხის ლაბორატორია^[1]
- ☐ პაციენტებზე ზრუნვა ჩვენი ყოველდღიურობაა^[1]
- ☐ ჩვენ არ გვეზარება პაციენტების ინფორმირება მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე
- ☐ ჩვენ პაციენტს გადახდების მოქნილ სისტემას ვთავაზობთ.

სამედიცინო ცენტრის მისია

„მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრის“ მისიაა, დავუბრუნოთ გამოჯანმრთელებული პაციენტები თავიანთ ოჯახებს, რაც გამოიხატება პაციენტებზე ზრუნვით, მკურნალობის მაღალი სტანდარტით, ახალი კადრების სწავლებით, არსებული კადრის გადამზადებითა და მედიცინის სხვადასხვა დარგში ახალი აღმოჩენების მოტივაციით.

ჩვენი მიზანია, რომ აღიარებული ვიყოთ საუკეთესო კლინიკად ჩვენს სფეროში, ჩვენი მოქალაქეებისთვის საუკეთესო სერვისების მიწოდებითა და ექიმებისთვის საუკეთესო სამუშაო პირობების შექმნით.

ჩვენი ფასეულობებია:

- ☐ პროფესიონალიზმი ჩვენს სფეროში და ბიზნესის განვითარებაში^[1]
- ☐ პატივისცემა პაციენტები და მათი ოჯახის წევრების მიმართ^[1]
- ☐ პატიოსნება - ყოველთვის ვიმოქმედოთ ღიად და სწორად^[1]
- ☐ გაგება - პაციენტების მოსმენა, საჭიროებებზე დაყრდნობით მათი იმედების გამართლება
- ☐ მოტივაცია - ვიყოთ საუკეთესო, მივისწრაფვით სრულყოფილებისაკენ ყველა მიმართულებით.

პაციენტების დაფინანსება

დღევანდელი მდგომარეობით, "მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრის" მიერ გაწეული მომსახურებების ღირებულების 70%-მდე ფინანსდება სახელმწიფო საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში, ქიმიო და სხივური თერაპიის მომსახურება კი 80%-ით. ისეთ სერვისებზე, რაზეც საყოველთაო დაზღვევა არ ვრცელდება, მაგალითად რადიოაქტიური იოდით მკურნალობა, მოქმედებს რეფერალური სამსახურის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დაფინანსებები.

განვითარების გეგმები

ორგანიზაციის სტრატეგიული მიდგომა არის, რომ მოხდეს გაუნაწილებელი მოგების რეინვესტირება რაც უზრუნველყოფს კომპანიის გრძელვადიან განვითარებას. აღნიშნული ინსტიტუტს საშუალებას აძლევს: ერთის მხრივ, მუდმივად გაფარდოვდეს, გახსნას ახალი განყოფილებები/მიმართულებები და გააგრძელოს თანამედროვე ტექნოლოგიების შესყიდვა. ხოლო მეორეს მხრივ - მუდამ იზრუნოს მედ. პერსონალის პროფესიულ ზრდაზე. კომპანიის მიზანია თანამშრომლები მუდამ ინფორმირებულები იყვნენ მედიცინის უახლესი მიღწევების შესახებ და პრაქტიკულ დონეზე ფლობდნენ მათ. ამ პოლიტიკის ფარგლებში ინსტიტუტი მუდამ გამოყოფს სახსრებს თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რაც გამოიხატება არაერთი ტრეინინგისა თუ კონფერენციის დაფინანსება/ჩატარებაში.

ისტორია და ჯგუფის სტრუქტურა:

შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ბრენდული სახელით "მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი" (შემდგომში „კლინიკა“) დაფუძნდა 2008 წელს სახელმწიფოს მიერ სახელწოდებით შპს "უჯრედული ტექნოლოგიებისა და თერაპიის ცენტრი". 2009 წელს კომპანიის 100% წილი, პირობადებული აუქციონის წესით შეძენილი იქნა შპს "ფარმაქსის" (შემდგომში "მშობელი კომპანია") მიერ. 2014 წლიდან კლინიკას შეეცვალა სახელწოდება და დღემდე ფუნქციონირებს როგორც "ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი" კლინიკის იურიდიული მისამართია ლ. ჩარკვიანის 8, ლისის ტბის მიმდებარედ, თბილისი, საქართველო. კლინიკის ძირითადი საქმიანობაა სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების გაწევა პაციენტებისათვის.

მშობელი კომპანია ფარმაქსი, გარდა ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრისა ფლობს სხვადასხვა სამედიცინო კომპანიებს. კერძოდ 100% წილით შპს "მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი - რუსთავს" 75% წილით შპს "ნიუ ლაიფ პლუს"-ს რომელიც თავის მხრივ არის შპს "სხივური მედიცინის ცენტრის" 60% წილის მფლობელი. 50% წილით შპს

“ალელს”. მშობელ კომპანია “ფარმაქსი” ასევე ეწევა საკუთარ ეკონომიკურ საქმიანობას, კერძოდ ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების ბანკს სადაც მშობელი უნახავს შვილს, მშობიარობის პროცესში შეგროვებული ჭიპლარის სისხლიდან მიღებულ ღეროვან უჯრედებს. მასალის შენახვა ხდება სპეციალურ კრიოსაცავებში ულტრადიბალ -190 გრადუს ტემპერატურაზე ხანგრძლივი დროით და შესაძლებელია, ბავშვის ცხოვრების მანძილზე გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მძიმე დაავადების სამკურნალოდ. შპს “სხივური მედიცინის ცენტრი” აღჭურვილია თანამედროვე ხაზოვანი ამაჩქარებლებით და ანხორციელებს ონკოლოგიური პაციენტების სხივური თერაპიით მომსახურებას. შპს “ალელის” საქმიანობას წარმოადგენს გენეტიკური ტესტების ჩატარება სხვადასხვა ონკოლოგიური და არაონკოლოგიური პათოლოგიების ზუსტი დიაგნოსტიკისათვის.

2017 წლის მიწურულს შეძენილი იქნა შპს “ქართული ფოლადის სამკურნალო ცენტრის” 100% წილი. აღნიშნული კომპანია ფლობდა 8000კვმ შენობაში განთავსებულ მრავალპროფილურ ჰოსპიტალს, სადაც დღეს მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები და აპარატურით აღჭურვა. კომპანიას შეეცვალა დასახელება და 2020 წლის თებერვლიდან იფუნქციონირებს როგორც “მარდალეიშვილის სამედიცო ცენტრი - რუსთავი” აღნიშნული ჰოსპიტალი იქნება მრავალპროფილური, იფუნქციონირებს გადაუდებელი სამედიცინო მიმღები და რეანიმაციული განყოფილება.

2018 წლიდან მიღებული იქნა გადაწყვეტილება დიაგნოსტიკური ფილიალის შექმნის შესახებ. იდეა განხორციელდა წარმატებით და 2019 წლის ივლისიდან წარმატებით ფუნქციონირებს “მარდალეიშვილის დიაგნოსტიკური ცენტრი” ცენტრი განთავსდა ქალქის ცენტრში, თამარაშვილის ქუჩაზე იჯარით აღებულ 3000 კვმ ტერიტორიაზე და აღიჭურვა კომპანია GENERAL ELECTRIC-ის უახლესი მოდელების რადიოლოგიური აპარატურით, რომელიც უნიკალურია არა მარტო საქართველოში არამედ რეგიონშიც. აღნიშნული აპარატურის შესაძნად დახარჯული იქნა 12,000,000. ლარზე მეტი.

რისკები და შესაძლებლობები

საქართველოში ჯანდაცვის სექტორის განვითარება ზრდის კონკურენციას და ერთის მხრივ, ქმნის შესაძლებლობას, რომ შემცირდეს ინსტიტუტში პაციენტების რაოდენობა, ხოლო მეორეს მხრივ, ართულებს კვალიფიციური სამედიცინო კადრების მოზიდვას.

თუმცა, ორგანიზაციაში 2018 წელს გაწეული სერვისების რაოდენობა უფრო მეტი იყო ვიდრე 2017 წელს. შესაბამისად, აღნიშნულ რისკს კომპანიის ხელმძღვანელობა არ აფასებს მნიშვნელოვნად. სამედიცინო პერსონალის გასაძლიერებლად ინსტიტუტი 2019 წლიდან გეგმავს მოიზიდოს ახალგაზრდა კადრები და იზრუნოს მათ პროფესიულ განვითარებაზე.

ვინაიდან სამედიცინო საქმიანობა დაკავშირებულია მთელი რიგი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოებასთან, გაზრდილი ჩატარებული სერვისების რაოდენობა ზრდის პოტენციური რისკის მოხდენის ალბათობას. აღნიშნული რისკის შემცირებისთვის 2018 წელს გაძლიერდა შიდა ხარისხის მართვის სამსახური: კომპანიის მართვის პროგრამული უზრუნველყოფა: ჩვენი კლინიკა პირველი სამედიცინო დაწესებულებაა საქართველოში სადაც დაინერგა სრული ERP სისტემა. ყველა სამედიცინო პროცესი ციფრულად აღიწერება რეალურ დროში და დაუყობლივ აისახება ფინანსურ მოდულში რასაც მინიმუმამდე დაჰყავს შეცდომების ალბათობა. სისტემა უზრუნველყოფს ნებისმიერი ტიპის რეპორტების გენერირებას როგორც სამედიცინო ასევე ფინანსური კუთხით, რაც მნიშვნელოვანად აადვილებს მენეჯმენტის საქმიანობას.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გიორგი ლოლაძე

თბილისი,

საქართველო

რისკები და შესაძლებლობები

საქართველოში ჯანდაცვის სექტორის განვითარება ზრდის კონკურენციას და ერთის მხრივ, ქმნის შესაძლებლობას, რომ შემცირდეს ინსტიტუტში პაციენტების რაოდენობა, ხოლო მეორეს მხრივ, ართულებს კვალიფიციური სამედიცინო კადრების მოზიდვას.

თუმცა, ორგანიზაციაში 2018 წელს გაწეული სერვისების რაოდენობა უფრო მეტი იყო ვიდრე 2017 წელს. შესაბამისად, აღნიშნულ რისკს კომპანიის ხელმძღვანელობა არ აფასებს მნიშვნელოვნად. სამედიცინო პერსონალის გასაძლიერებლად ინსტიტუტი 2019 წლიდან გეგმავს მოიზიდოს ახალგაზრდა კადრები და იზრუნოს მათ პროფესიულ განვითარებაზე.

ვინაიდან სამედიცინო საქმიანობა დაკავშირებულია მთელი რიგი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოებასთან, გაზრდილი ჩატარებული სერვისების რაოდენობა ზრდის პოტენციური რისკის მოხდენის ალბათობას. აღნიშნული რისკის შემცირებისთვის 2018 წელს გაძლიერდა შიდა ხარისხის მართვის სამსახური: კომპანიის მართვის პროგრამული უზრუნველყოფა: ჩვენი კლინიკა პირველი სამედიცინო დაწესებულებაა საქართველოში სადაც დაინერგა სრული ERP სისტემა. ყველა სამედიცინო პროცესი ციფრულად აღიწერება რეალურ დროში და დაუყობლივ აისახება ფინანსურ მოდულში რასაც მინიმუმამდე დაჰყავს შეცდომების ალბათობა. სისტემა უზრუნველყოფს ნებისმიერი ტიპის რეპორტების გენერირებას როგორც სამედიცინო ასევე ფინანსური კუთხით, რაც მნიშვნელოვნად აადვილებს მენეჯმენტის საქმიანობას.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გიორგი

ლოლაძე

თბილისი,

საქართველო

